| პროექტის აღწერა და მიზანი | პროექტი ითვალისწინებს მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში ურბანული, კომუნალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციასა და კერძო სექტორის ხელშეწყობას აღნიშნული მიმართულებით. აღნიშნული პროექტის განვითარების მიზანს წამოადგენს მოცემული რეგიონების ტურიზმთან და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება. |
| პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და მომსახურება; გაზრდილი ინსტიტუციონალური უნარჩვევები; განვითარებული ტურისტული და კულტურული მემკვიდრეობის ზონები. |
| დეტალური ინფორმაცია | პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: ნაწილი ა: ინვესტიცია ინფრასტრუქტურის სფეროში: ა) ურბანული აღდგენა, რაც ითვალისწინებს: 1. მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მომსახურების რეაბილიტაციას ცენტრალურ ისტორიულ უბნებში; 2. საზოგადოებრივი სივრცეებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენობების კონსერვაცია-გაუმჯობესებას; 3. შენობების ფასადების კონსერვაციას |

ადგილობრივი არქიტექტურის გამოყენებით; 4. ტურისტული მარშრუტების განვითარებას, რომელიც მოიცავს: ა) ურბანული ლანდშაფტის და საზოგადოებრივი ავტოსადგომების განვითარებას; ბ) საინფორმაციო ჯიხურების, კაფეების და საზოგადოებრივი ტუალეტების მშენებლობას; გ) კვალიფიცირებული სამუშაო ძალის და შესაძლებლობების ჩამოყალიბებას; დ) მშენებლობის ზედამხედველობასა და კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი ტერიტორიის მართვას; 5. განხორციელებული სამუშაოების შეფასებას და მონიტორინგს, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის.ბ) ინფრასტრუქტურის მოწყობა კერძო სექტორის ინტერესების მიზნით. აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს გარკვეული რაოდენობის კერძო სექტორის ერთეულების მხარდაჭერას, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს და შესაძლებლობას განახორციელონ ინვესტირება მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მასშტაბით ტურიზმისა და კვების მრეწველობის სფეროში, ასევე საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაში, რაც აუცილებელია მათი ინვესტიციების სიცოცხლის უნარიანობისთვის. ნაწილი ბ: ინსტიტუციური განვითარება: აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (მგფ) და სხვა ადგილობრივი და რეგიონული დაწესებულებების ინსტიტუციური შესაძლებლობის და ქმედითუნარიანობის გაუმჯობესებას ქვემოთ წარმოდგენილი საქმიანობების განხორციელების მიზნით: 1. გეო-ტურისტული მარშრუტების და ტურისტული პორტალის შექმნას; 3. კვალიფიცირებული სამუშაო ძალის და შესაძლებლობების ჩამოყალიბებას; 4. მშენებლობის ზედამხედველობა და კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი ტერიტორიის მართვას; 5. განხორციელების შეფასება-მონიტორინგს, სამუშაოების, საქონლის, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვების და სწავლების მეშვეობით. სექტორის ერთეულების მხარდაჭერას, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს და შესაძლებლობას განახორციელონ ინვესტირება მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მასშტაბით ტურიზმისა და კვების მრეწველობის სფეროში, ასევე საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაში, რაც აუცილებელია მათი ინვესტიციების სიცოცხლის უნარიანობისთვის. ნაწილი ბ: ინსტიტუციური განვითარება: აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (მგფ) და სხვა ადგილობრივი და რეგიონული დაწესებულებების ინსტიტუციური შესაძლებლობის და ქმედითუნარიანობის გაუმჯობესებას ქვემოთ წარმოდგენილი საქმიანობების განხორციელების მიზნით: 1. გეო-ტურისტული მარშრუტების და ტურისტული პორტალის შექმნას; 3. კვალიფიცირებული სამუშაო ძალის და შესაძლებლობების ჩამოყალიბებას; 4. მშენებლობის ზედამხედველობა და კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი ტერიტორიის მართვას; 5. განხორციელების შეფასება-მონიტორინგს, სამუშაოების, საქონლის, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვების და სწავლების მეშვეობით.

| | |
|-------------------------------------|---|
| პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | ქ. ქობულეთის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობით უზრუნველყოფა |
|-------------------------------------|---|

| ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET) | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 25 04 01 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია |
| პროგრამის განმახორციელებელი | სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| პროექტის აღწერა და მიზანი | ქობულეთში კანალიზაციის გამწმენდი ახალი ნაგებობის მშენებლობა |

| წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB) | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 25 04 02 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია |
| პროგრამის განმახორციელებელი | სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| პროექტის აღწერა და მიზანი | პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს, 30 ქალაქში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება |

| წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU) | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 25 04 03 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია |
| პროგრამის განმახორციელებელი | სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| პროექტის აღწერა და მიზანი | პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს 24 ქალაქში წყალმომარაგების სისტემების განახლება/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. პროგრამის განხორციელების ვადებია 2014-2016 წწ. პროგრამა მოიცავს როგორც სამშენებლო |

| | |
|--|---|
| | <p>სამუშაოებს, ასევე საქონლის შექმნას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის.</p> <p>პროექტების განხორციელება დაგეგმილია: სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონი (ოზურგეთი; სენაკი; ხობი; აბაშა); (იმერეთი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი (თერჯოლა; ტყიბული; ზესტაფონი; ონი); კახეთი (თელავი - კურდღელაური; ახმეტა; გურჯაანი; სიღნაღი; წნორი; საგარეჯო; ლაგოდეხი) შიდა ქართლის რეგიონი (ქარელი; დუშეთი) ქვემო ქართლის რეგიონი (ბოლნისი; თეთრიწყარო; წალკა; სამცხე); ჯავახეთის რეგიონი (ასპინძა; ახალციხე; წალვერი; ლიკანი)</p> <p>მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხანგრძლივობის გაზრდა აღნიშნულ ქალაქებში, ოპერირების ხარჯების შემცირება, მოსახლეობისაგან წყლის მიწოდების და წყალანირების მომსახურების საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაუმჯობესება; წყალმომარაგების და წყალარინების მდგრადი ფუნქციონირება</p> |
|--|---|

| საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (SIDA) | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 25 04 04 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია |
| პროგრამის განმახორციელებელი | სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>პროექტის მიზანს წარმოადგენს ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის ხელშეწყობა საქართველოში და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპერიმენტულად განხორციელება. პროექტი მოიცავს ქ. წყალტუბოს და ქ. თელავის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში 2015 წელს გათვალისწინებულია: ქ. წყალტუბოს საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ქ. თელავის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა; ტექნიკური დახმარება და საკონსულტაციო მომსახურებები.</p> |

| ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 25 04 05 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს | 25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია |

| | |
|----------------------------------|---|
| პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | |
| პროგრამის განმახორციელებელი | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია ქუთაისში, ფოთში, ანაკლიაში, მესტიასა და ურეკში.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:</p> <p>ფოთი - სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია</p> <p>ანაკლია - სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია</p> <p>მესტია - სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია</p> <p>ურეკი - სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა</p> <p>ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, გათვალისწინებულია კომპანიის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა (ლაბორატორია, კანალიზაციის გამწმენდი მექანიზმი), სასმელი წყლის სექტორის განვითარება, ასევე, ფინანსდება პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები.</p> <p>პროგრამის სრულად დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების სრულყოფილი მუშაობა.</p> |

| იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 25 05 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 25 05 - იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა |
| პროგრამის განმახორციელებელი | სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| პროექტის აღწერა და მიზანი | პროექტის მიზანს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის ხელის შეწყობა |

| პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა | |
|--|---|
| პროექტის პროგრამული კოდი | 27 02 01 02 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 27 02 - სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა |

| | |
|-----------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება:- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში და ახალი (ორხევი) დაწესებულების მშენებლობის დაწყება; - რუსთავის N16 დაწესებულების ტერიტორიაზე საწარმოო ზონის მშენებლობის დასრულება; - სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება სასჯელაღსრულების არსებულ დაწესებულებებში;- ცალკეული დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით; |

| საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა | |
|---|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 32 05 01 02 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 32 05 - საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პროგრამის განმახორციელებელი | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვის უზრუნველყოფით. |

| საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 32 05 02 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 32 05 - საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პროგრამის განმახორციელებელი | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ტერიტორიული ორგანოების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება. |

| კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 33 04 02 02 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 33 04 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა |
| პროგრამის განმახორციელებელი | სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია, კერძოდ: გაგრძელება სვანური კომპლექსების და მაჩუბის, სოფელ ჩაჭაშის, ვარძიის სამონასტრო კომპლექსის, ატენის სიონის, თბილისში მეტეხის ეკლესიის, სქურის, ზებრის ციხის, ანჩისხატის ეკლესიის, გელათის სამონასტრო კომპლექსის, დადიანების სასახლის, საფარის მთავარი ტაძრის და სამრეკლოს, აკვანებას წმინდა ბარბარეს ეკლესიის, ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძრის, თისელის, მუცოსა და მცხეთის მუზეუმის რეაბილიტაცია; აგრეთვე დოლოჭოპისა და გეგუთის სასახლის კონსერვაცია; არმაზის-ხევის პიტიახშთა რეზიდენციის მოწესრიგება-კონსერვაცია. დაიწყება: წმინდა ნინოს სახელობის სახელობის ბოდბის დედათა მონასტრის, თბილისის ლურჯი მონასტრის, საროს, ნოქალაქევის ორმოცმოწამეთას, ერტაწმინდას, ყინცვისის ღვთისმშობლის ტაძრის, სათხისა და აჭის სამონასტრო კომპლექსის, დოდოსრქის სამონასტრო კომპლექსის, წალკის საკათედრო ტაძრის, გოსტიბეს სამების ეკლესიის, სოფელი საბუე, იანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია; უჯარმის კომპლექსის კონსერვაცია და სხვა. ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები.</p> |

| სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 35 04 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 35 04 - სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა |
| პროგრამის განმახორციელებელი | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | |
|---------------------------|--|
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>ხარისხიან სამედიცინო სერვისებზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია/აღჭურვა, ასევე ახალი სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა;</p> <p>ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შენობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოების თანადაფინანსება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.</p> |
|---------------------------|--|

| მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 36 01 02 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 36 01 - ენერჯეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა |
| პროგრამის განმახორციელებელი | საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა მოიცავს გაზიფიცირების მე-2 ეტაპის სამუშაოების დაწყებას, კერძოდ: საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირებას.</p> <p>დამონტაჟებული იქნება დაახლოებით 300 კმ სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის (90-160 მმ) გაზის მილები. მოხდება სოფლების სრული დაქსელვა, რაც საშუალებას მოგვცემს 32 904 აბონენტისათვის ხელმისაწვდომი გახდეს გაზის მიწოდება.</p> <p>პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოში ძირითადად გადაწყვეტილ იქნება ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხი.</p> |

| ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU) | |
|---|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 36 02 01 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 36 02 - ენერჯეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია |
| პროგრამის განმახორციელებელი | საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო |

| | |
|----------------------------------|--|
| <p>პროექტის აღწერა და მიზანი</p> | <p>90 -იან წლებში აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამო დაზიანდა ვარდნილჰესი 1-ის როგორც აგრეგატების, ასევე გამყვანი არხი, კაშხლის ინფრასტრუქტურა და სხვა კვანძები. წინა წლებში ჩატარდა აგრეგატების და ქვესადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჰესის გამყვანი არხის, კაშხლის გვირაბისა და სხვა კვანძების რეაბილიტაცია. კერძოდ: წყალსატარი გზების, ზედაპირული წყალსაშვის ფარებისა და ამწე მექანიზმების რეაბილიტაცია, კაშხლის ნაგავდამჭერი გისოსების რეაბილიტაცია, წყალმიმღების მუშა ფარების ამწე მექანიზმების რეაბილიტაცია, ჯოჯგინა ამწეების (ორი) აღდგენა, სადაწნეო მილსადენებზე კომპენსატორების აღდგენა, მილსადენების ანტიკოროზიული სამუშაოები და სხვა.</p> <p>პროექტის დასრულების ვადაა 2015 წელი. 2015 წელს შესრულდება წყალსატარი გზების რეაბილიტაცია, ზედაპირული წყალსაშვის ფარებისა და ამწე მექანიზმების რეაბილიტაცია, კაშხლის ნაგავდამჭერი გისოსების რეაბილიტაცია, წყალმიმღების მუშა ფარების ამწე მექანიზმების რეაბილიტაცია, ჯოჯგინა ამწეების (ორი) აღდგენა, სადაწნეო მილსადენებზე კომპენსატორების აღდგენა, მილსადენების ანტიკოროზიული სამუშაოები</p> <p>ვარდნილჰესი 1-ის გამყვანი არხის რეაბილიტაცია, კერძოდ: აღსადგენია დაზიანებული ბეტონის ძირი და ფერდები, გასამაგრებელია არხის მარჯვენა ფერდი, გასაწმენდია არხი ნატანისაგან. შესაძენია და დასამონტაჟებელია კაშხლის მონიტორინგის სისტემა, აღსადგენია კაშხლის სიდრმული წყალსადგები და გვირაბი. რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს კაშხლის დამხმარე კვანძებს. აგრეთვე, განხორციელდება ვარდნილჰესი 2-ის სარეგულირებელი ფარების რეაბილიტაცია. 23 კმ სიგრძის გამყვანი არხის (ვარდნილი 1-დან შავი ზღვის შესართავამდე) ნატანისაგან გაწმენდა და სხვა.</p> |
|----------------------------------|--|

| <p>რეგიონული ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB)</p> | |
|---|---|
| <p>პროექტის პროგრამული კოდი</p> | <p>36 03 01</p> |
| <p>პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი</p> | <p>რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი</p> |
| <p>პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში</p> | <p>36 03 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება</p> |
| <p>პროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო</p> |
| <p>პროექტის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროექტი წარმოადგენს საქართველოს ენერჯეტიკული სექტორის განვითარების გეგმის განუყოფელ ნაწილს და მისი კომპონენტები შერჩეულია სსე-ს საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად. პროექტის მიზანია რეგიონში ელექტროენერჯით ვაჭრობის ხელშეწყობა, არსებული ქვესადგურების რეაბილიტაციისა და ახალი ქვესადგურის მშენებლობის გზით.</p> |
| <p>პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p> | <p>დასრულდება საპროექტო სამუშაოები, მომზადდება სატენდერო დოკუმენტაცია და</p> |

| | |
|--|---|
| | <p>გამოცხადებულ იქნება შესაბამისი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაზე სათანადო ტენდერები. განთავსდება შესაბამისი შეკვეთები ქარხანა-დამამზადებლებში ტექნიკური მოწყობილობების დამზადება-მოწოდებაზე.</p> <p>პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები:1) ახალი 220/110 კვ ქვესადგურის „ხორგა“ მშენებლობა;2) 500/220/110 კვ ქვესადგურის „ქსანი“ რეაბილიტაცია;3) 220/110კვ ქვესადგურის „მარნული“ რეაბილიტაცია-გაფართოება 500 კვ ფართით;4) 220/110 კვ „მენჯის“ ქვესადგურში ძალოვანი ტრანსფორმატორის შეცვლა;5) სამუშაოების ზედამხედველი კონსულტანტის შერჩევა.</p> |
|--|---|

| ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) | |
|--|---|
| პროექტის პროგრამული კოდი | 36 03 02 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 36 03 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება |
| პროგრამის განმახორციელებელი | საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს ჯვარში ახალი 500/220კვ ქვესადგურისა და დაახლოებით 70კმ საერთო სიგრძის შესაბამისი ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს სსე-ის ერთ-ერთ მთავარ საინვესტიციო პრიორიტეტს. პროექტის განხორციელების ზედამხედველობას, მონიტორინგსა და კონტროლს უზრუნველყოფს სსე-ის შვილობილი კომპანია “ენერგოტრანსი”.</p> <p>დასრულდება საპროექტო სამუშაოები, მომზადდება სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადებულ იქნება შესაბამისი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაზე სათანადო ტენდერები. განთავსდება შესაბამისი შეკვეთები ქარხანა-დამამზადებლებში ტექნიკური მოწყობილობების დამზადება-მოწოდებაზე.</p> <p>საპროექტო ღონისძიებები მოიცავს:• პაკეტი “ა” – 500/220კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში;• პაკეტი “ბ” – 220კვ ეგბ-ს მშენებლობა ქს ჯვარი – ქს ხორგა (60კმ) და არსებული 500კვ ეგბ კავკასიონის შეჭრას ქს ჯვარში (8 კმ);• პაკეტი „გ“-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა-ზედამხედველობა;• პაკეტი „დ“-სპეც. მანქანებისა და იარაღების შესყიდვა.</p> |

| 220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა (WB) | |
|--|----------|
| პროექტის პროგრამული კოდი | 36 03 03 |

| | |
|--|---|
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 36 03 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება |
| პროგრამის განმახორციელებელი | საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>ახალციხისა და ბათუმის ქვესადგურების დამაკავშირებელი 220 კვ-იანი ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა მიზნად ისახავს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ელექტროსისტემის გაძლიერებას.</p> <p>პროექტის ფარგლებში განხორციელდება:- ორჯაჭვა 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა;- ხაზის სიგრძე 150 კმ-ია, დამონტაჟდება დაახლოებით 500 ანძა;- გამტარუნარიანობა 350 მგვტ; განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება მდინარე აჭარის წყალზე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის გამომუშავებული ელექტროენერჯის სისტემაში შეყვანა (ჯამში 360 მგვტ).</p> <p>ახალი ელექტროგადამცემი ხაზი უზრუნველყოფს რეგიონში ელექტროენერჯის სტაბილურ მიწოდებას, შეამცირებს ელექტროენერჯის გათიშვების შემთხვევებს, შესაძლებელი იქნება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ელექტროენერჯაზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ხაზის საშუალებით ასევე მოხდება მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი შეახვევის 178 მგვტ-იანი და კორომხეთის 150 მგვტ-იანი ჰესების მიერთება სახელმწიფო ენერჯის სისტემასთან.</p> |

| სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შექმნა | |
|--|---|
| პროექტის პროგრამული კოდი | 37 01 03 01 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | სოფლის მეურნეობა |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 37 01 - სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა |
| პროგრამის განმახორციელებელი | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია და წყალსაცავების მშენებლობა.</p> <p>სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმებისა და მოწყობილობების შექმნა, სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი საირიგაციო სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებები:</p> |

- მერეთის თემის სოფლების: მერეთის, გეგუთიანთკარის, ზარდიაანთკარის და კომკას სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა წყლის თვითდინებით და სტაციონალური სატუმბი სადგურის მოწყობით;
- ზედდულეთის თემის სოფლების კირბალის და ბერშუეთის სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა სტაციონალური სატუმბი სადგურის მოწყობით;
- ხრამის სარწყავი სისტემის ზონაში ლეჟადინის მასივზე სარწყავი არხის აღდგენა-რეაბილიტაცია;
- მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის აღდგენა-რეაბილიტაცია(მეორე რიგი);
- ცისკრის და ბაგრატის არხების სარწყავი სისტემების მაგისტრალური არხების I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;
- მთის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;
- დებედას არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია, მდინარე დებედაზე უკაშლო, გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობის მოწყობით;
- იმირასანის და ზედა არხის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო სარწყავი ქსელის რეაბილიტაციის (II ეტაპი);
- დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იაკუბლოს წყალსაცავის კაშხლის ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები;
- დმანისი-განთიადის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების, იაკუბლოს და პანტიანის წყალსაცავების სათავე ნაგებობების, შემავსებელი და წყალმიმყვანი არხების და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია II ეტაპი;
- სოფ. ერისიმედის სარწყავი სისტემის და სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელის (ორმხრივი რეგულირება) რეაბილიტაცია;
- სოფელ მაღაროსთან ვაზის სანერგე მეურნეობის ფართობის თვითდინებით მორწყვა მდინარე ივრიდან;
- „ზილიჩა-I“ მასივზე სოფ. სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია;
- „ზილიჩა-I“ მასივზე სოფ. ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცი, მდინარე ალაზანზე ახალი სატუმბი სადგურის მოწყობით;
- ალმალო-მუჯახეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;
- აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;
- მამველის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ-1-8 (პკ 0+00-დან პკ 32+00-მდე), გ-1-9, გ-1-10, გ-1-10-1 და გ-1-11 გამანაწილებლების, გეგუთის არხის (გ-2-7

| | |
|--|--|
| | <p>გამანაწილებლებიდან ბოლომდე), გ-2-2, გ-2-3, გ-2-5, გ-2-6, გ-2-7 და მათი მეორე და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო სარწყავი ქსელის (II რიგი) რეაბილიტაცია;</p> <ul style="list-style-type: none"> - ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაცია; - წყალსაცავებზე და საირიგაციო სისტემებზე ჰიდრომეტრული ქსელის და საინფორმაციო და დისტანციური მართვის სისტემების მოწყობა. <p><i>დამშრობი (სადრენაჟო) სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - რიონი-ხობის მდინარეთა შორის მასივზე ჭალადიდის დამშრობის სისტემის მაგისტრალური წყალგამყვანი არხის, პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების, შიდასამეურნეო არხების, არსებული #1 და #2 სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია - I რიგი; - ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე I რიგი; - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია I რიგი. <p><i>განხორციელდება 4 წყალსაცავის მშენებლობა, კერძოდ:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ზემო სამგორის სარწყავ სისტემაზე არხაშენის (ჩუმათხევის) წყალსაცავი; - მდინარე თეძამზე წყალსაცავი; 3. ნარეკვავის წყალსაცავის კაშხლის და კატასტროფული წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაცია; - დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იაკუბლოს წყალსაცავის კაშხლის ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები. <p><i>განხორციელდება სარეაბილიტაციო ობიექტების პროექტირება (ექსპერტიზა და ზედამხედველობა) და შექმნილ იქნება შემდეგი სახის ტექნიკა:</i></p> <p>ბულდოზერი - 2 ერთეული, ავტოგრეიდერი - 2 ერთეული, ავტოკრანი (გასაშლელი ისრით) - 4 ერთეული, თვითდამტვირთველი (გასაშლელი ისრით) - 4 ერთეული, ხის და ბუჩქების საჭრელი მექანიზმი - 2 ერთეული.</p> |
|--|--|

| აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD) | |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი | 58 10 03 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 58 10 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები |
| პროექტის განმახორციელებელი | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა, რაც ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში ევროკომისიის დირექტივების შესაბამისი სანიტარული ნაგავსაყრელის პოლიგონის მოწყობას. ამასთან, პროექტის ფარგლებში განხორციელდება ბათუმის (გონიოს დასახლება) და ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული არასტანდარტული და ექსპლოატაციისთვის არასათანადო ნაგავსაყრელების კონსერვაცია</p> |

| ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (EU, KfW) | |
|--|---|
| პროექტის პროგრამული კოდი | 58 10 04 |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი | საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში | 58 10 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები |
| პროექტის განმახორციელებელი | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო |
| პროექტის აღწერა და მიზანი | <p>ქ. ბათუმის ბათუმის I ზონაში და ჩაქვი-მახინჯაური-მწვანე კონცხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;</p> <p>ქ. ბათუმის I, III და IV ზონის წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება;</p> <p>მოსახლეობისათვის უწყვეტი და მოთხოვნაზე დაფუძნებული ჰიგიენურად საიმედო წყალმომარაგება, ქალაქში დატბორვის პრობლემის აღმოფხვრა, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქალაქში არსებული ღია და დახურული სანიაღვრე არხების რეკონსტრუქცია.</p> <p>პროექტის ფარგლებში დონორის მიერ კრედიტის სახით მიღებული სახსრების გადასახება ხორციელდება პროექტის განმახორციელებელ შესაბამის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულზე (თვითმმართველი ქალაქი ბათუმი).</p> |